


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროების“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრულად განცხადებით  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ., რედაქციაში  
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის აღდგენის  
ლობაზედ.

თუ საქართვებ მოითხოვს რედაქცია გააქრობს და შეაიკო-  
დებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯად წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

თელავის თავად-ახანაურობის  
**ვარდაწვევები**  
თბილისი, აპრილის 17-ს.

მთხი წელიწადი მეტია, რაც ჩვენ-  
მა თავად-ახანაურობამ პირველად გააგ-  
დო ხმა მთელს ამიერ-საქართველო-  
ში, რომ აუცილებლად საჭიროა ჩვენ-  
ვე ვიზრუნოთ ჩვენის შვილების გა-  
ნათლებლისათვისა; მან გადასწყვიტა  
შეკრება ერთ-დროებითად გამოღე-  
ბულის ფულისა იმისთანა ფონდის  
შედგენისათვის, რომლის სარგებლით  
საკუთარი საშუალო სასწავლებელი  
შეინახებოდეს. ეს აზრი დიდს თა-  
ნაგრძობით მიიღო საგუბერნიო კრე-  
ბამ და სამაზრო კრებებს მიანდო მისი  
განხორციელება.

მას აქვთ გაიარა სამმა წელიწადმა.  
ზარის თავად-ახანაურობის კრება მა-  
შინვე შეუდგა თავის საქმეს, ამოირ-  
ჩია კომისია და 140,000 მანათამდე  
გაიწერა. ბევრთა ექვის თვლით შე-  
ხედეს ამ სიუხვეს და ამტკიცებდნენ,  
რომ ეს გაწერა მხოლოდ სიტყვიერად  
მოხდა და საქმით ვერას დროს ვერ  
შესრულდებოდა. ჩვენ ეხლა ამ „ზო-  
გიერთებს“ პოლემიკას არ გავუწევთ  
და ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ ზო-  
რის მაზრის თავად-ახანაურობის წადი-  
ლი, ისე ცხარედ წარმოთქმული შარ-  
შან, თებერვლის 5-ს კრებაზედ, გულ-  
წრფელი იყო, ამ ფულის მოგროვე-  
ბა თუმცა სამძიმოა, მაგრამ შეუძლე-  
ბელად არ უნდა გვეჩვენოს. საქმე ის  
არის, რომ თუ ამდენი ფული არ  
გაეწერათ, ეს გაწერა სრულიად ამაოდ

ჩაივლიდა და თავად-ახანაურობისაგან  
განზრახულს საგანს ხელის შეშლა  
მოელოდა.

მართლაც, ყოველ საშუალო სას-  
წავლებელს წელიწადში სულ უკა-  
ნასქელი 30,000 მანათამდე მაინც  
უნდა და რომ ეს ფული სარგებლად  
შესდგეს, თავნი ნახევარ-მილიონამდე  
მაინც უნდა იყოს. სწორედ ამ აზ-  
რით ხელმძღვანელობდა ზარის თა-  
ვად-ახანაურობა, როდესაც 140,000  
მანათი გაიწერა და იმედიცა ჰქონდა,  
რომ სხვა მაზრებიც ამ ფულის მიხედ-  
ვით მოახდენდნენ გაწერას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ იმედმა  
უმტყუნა. თბილისის მაზრამ, რომ-  
ელშიაც ყველაზედ მდიდარი თავად-  
ახანაურობაა, სულ 60,000 მანათამ-  
დე გაიწერა და თელავის მაზრას,  
როგორც გუშინდელ ჩვენი ტელე-  
გრაფიამაც სცნობდით, სულ 15,000  
მანათი გაუწერა, ე. ი. იმდენი,  
რის გაწერასაც გაუწერლობა ემჯო-  
ბინებოდა.

ჩვენ გვიკვირს, რომ ამ კრებაზედ  
არავინ არ დასწრებია იმისთანა, რომ-  
ელსაც აქვს თავად-ახანაურობისათ-  
ვის ამ გვარის ღვაწლის სრული უსარ-  
გებლობა. ათას-ხუთასი-თუმანი მთელ  
მაზრას არამც თუ ფონდს არ შეუდ-  
გენს, ნახევარ წლის ხარჯსაც ვერ  
მოსწმენდს პირს და ამ ფულით რომ-  
ელი სასწავლებელი უნდა დაწეს-  
დეს!

ძარგი იქნება, რომ თელავის თა-  
ვად-ახანაურობა ჩაუკვირდეს ამ საგანს,  
ან მისგან ამორჩეულმა კომისიამ  
აუხსნას, რომ მისი გარდაწყვეტილე-  
ბას აუცილებლად შეცვლა უნდა, თო-

რემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ზო-  
რის მაზრამ თავისთვის მოაგროვოს  
ფული, როგორც გადაწყვეტილი ჰქონ-  
და, თითონვე დაიარსოს სასწავლებე-  
ლი და ამ სახით მთელის თავად-აზ-  
ნაურობის ერთობის მაგიერად, ვნა-  
ხით კვლავინდებულო გაცალკევება და  
უერთობა.

**«კავკასია» (№ 99)** გვიხსენებდა  
„ჩვენს ფელტონში მოხსენებული  
იყო, რომ ბერლინში მიუწერიათ პე-  
ტერბურგად, ვითომ თავისი ზო-  
გიერთა გუბერნიებში ადგილობრივ  
მცხოვრებლებს აღელვება დასტყობო-  
დეს, რადგან ჯარის გაყვანის შემო-  
საღებად თავისი მთავრობა ცდი-  
ლობდეს იარაღის ჩამორთმევას მცხოვ-  
რებლებისაგან. „Новое Время“ გვი-  
საყვედურებს, რომ ეს ხმა ფელტონ-  
ში გაემატა და არა ოფიციალუ-  
რად. ამის პასუხად უნდა ვსთქვათ,  
რომ ამისთანა უმნიშვნელო და უხერ-  
ხულად მოგონილ ხმას ოფიციალუ-  
რად გამტყუნება არ ეჭირებოდა და  
ფელტონური ხუმრობა საქარის იყო.  
ჩვენ გვგონია, პეტერბურგში იციან,  
რომ იარაღის ჩამორთმევა თავისი  
მცხოვრებლებისაგან ახალი საქმე არ  
არის და არა ერთხელ ყოფილა ამაზედ  
ლაპარაკი თავისი დაპყრობის შემდეგ.  
მაგრამ ყოველთვის ისე გადაწყვეტი-  
ლა, რომ პოლიტიკურად სრულიად  
საშიში არ არის ხალხმა ატაროს იარა-  
ღი, რომელიც ადგილობრივი ტა-  
ნისამოსის აუცილებელს საჭიროებას  
შეადგენს. შთავერესი ენება იარაღის

ხმარებისა ის არის, რომ ჩხუბებისა  
და დავიდარების დროს ხშირად ჰხდე-  
ბა დაკრა და მკვლელობა. თავისი  
ხალხი თუმცა მუდამ ატარებს იარაღს,  
მაგრამ მას ხმარობს ომში მაშინ, რო-  
ცა მთავრობა უბრძანებს და თავისი  
ომების მთელი ისტორია გვიმტკიცებს,  
რომ მამარ-ხანის პირველის დამარ-  
ცხებიდამ იორზედ უკანასქელ ოსმა-  
ლეთთან ომამდე, მილიციები ყველა  
ომებში მონაწილეობას იღებდნენ. მინც  
ეს არ იცის, ის თითქო განგებ ხელს  
უშლის რუსის მთავრობას, როგორც  
ამას ჩაღიან ინგლისური და სხვა  
უცხო ქვეყნური გაზეთები. „Русскія  
Вѣдомости“ ასახელებს რა ერთს  
ამისთანა მოგონებათაგანს, თან შესა-  
ფერს განმარტებას უძღვნის:

„თუ რა „საყურადღებო“ ამბებს  
იგონებენ ინგლისური გაზეთები, ამ-  
ბობს ეს გაზეთი, რომ საზოგადოებაზედ  
იმოქმედონ, ომის სურვილი განუ-  
ცხოველონ და გამარჯვების მოლო-  
დინი აგემებინონ,—ამას ამტკიცებს  
სასაცილო ტელეგრაფა გაზეთის „Ti-  
mes“-ისა პარიჟის კორესპონდენტისაგან  
მიღებული. კორესპონდენტი Times-  
ისა ეფუძნება ვილაც ქართველის სიტ-  
ყვებს, რომელიც ვითომ კარგად იც-  
ნობს თავისიას, და ამბობს რომ ჩამ-  
წამს ინგლისელები საქართველოში  
გამოვლენ, მაშინვე მთელი თავისი  
ადგება რუსეთის წინააღმდეგ; ყვე-  
ლა მთის ხეობები ამ ქვეყნისა გაიხს-  
ნებიან ინგლისელებისათვის, რომელ-  
თაც ადგილობრივი მცხოვრებლები  
ყოველ გვარს შემწეობას აღმოუჩე-  
ნენ“.

ზანა ვინც კი თბილისში სცხოვ-

ცოლ-ქმრობის წესები  
**სევანეთში**  
საცოლეს დანიშნა, ნაყდანური, ნაქე-  
ლაში, ქორწილი, ჯვარის-წერა, მზი-  
თევი.  
(დასასრული \*)

ეს-ეს არის ქალიშვილმა თავი მო-  
უყარა მის მიერ მოპატივებულ ტოლ-  
ამხანაგ ქალიშვილებს და მაყრებს  
(ქვერწლარ). შინაურად ჩაცმული,  
იგი ახლა იმოსება საქორწილო ტა-  
ნისამოსით. ამავე დროისთვის ქა-  
ლის მშობლებს მზადა აქვთ ესრედ  
წოდებული „კალათ“, ესე იგი ხორა-  
გეულობა—პური და არაყი, სამყოფი  
საშუალო რიცხვით 30—40 კაციისა  
ვახშიდგან დამოკიდებული იმავე და-


მის გათენებამდე. ჩვეულების ძალით  
საცოლეს დედ-მამამ უნდა წაიღოს  
ეს ხარჯი სასიძოს სახლში და უნდა  
გაუმასპინძლდეს მის მხრით მიყვანილ  
სტუმარ-მაყრებს და აგრეთვე სასიძოს  
სტუმრებსაც, რომელთა რიცხვი ყო-  
ველთვის აღემატება საცოლესაგან  
მიპატივებულ სტუმარ-მაყრებსა. აი,  
ამას ეძახიან სევანეთ კალათს, რომე-  
ლიც ცხენის-წყლის ხეობაში მდებარე  
სევანეთში არ არსებობს და თა-  
ვისუფალ სევანეთის ერთს საზოგადოე-  
ბაში, სახელდობრ „შუკულში“, შეცე-  
ლილია 30 პურის მიტანით; სხვაგან  
კი ისე არსებობს, როგორც ზემოდ  
არის აწერილი. „ძალათი“ საქმროს  
სახლში მიაქვთ ხარ-მარხილით, რომ-  
ელმაც საცოლეს მისვლამდე უნდა  
მიადწიოს საქმროს სახლში. ზარის-  
ტუმრეს „კალათი“, სასიძოს მიმევანთ  
(მუყა), რომელიც სავამრჯელოდ  
თვითო მანათს იღებენ სასიძოს დედ-  
მამისაგან, იქით-აქვთ ხელი მოჰკიდეს

წასაყვანს პატარძალს და გამოიყვანეს  
კარში. ამით უკან გამოჰყვებათ სასი-  
ძოს ტოლ-ამხანაგი ქალიშვილები  
და შემდეგ მაყარი კაცები, ყველა  
დაიარაღებულნი თოფ-დამბაჩებით; მი-  
მავალნი გზაზედ ოხუნჯობენ, იცინიან.  
ეს ეს არის ამ ხუმრობა-სიცილში მიუ-  
ახლოვდენ სასიძოს ოჯახს. უცებ  
ერთმა ქალის მხრით მაყართაგანმა  
თოფი გაისროლა; მას მიაყოლეს  
დანარჩენმა მაყრებმაც. სასიძოს მხრი-  
თაც რიგია იდგეს 10—20 თო-  
ფიანი კაცი, რომელიც თოფისავე  
სროლით ეგებებიან სასიძოს. ამაი-  
რად რამოდენიმე წამის განმავლობა-  
ში გავარდება 40—80 თოფამდე და  
ხანდისხან მეტიც.

ამ თოფის სროლაში სასიძო სა-  
სიძოს სახლის კარებთან მიიყვანეს.  
აქ ოჯახის უფროსმა ფქვილი მიაგე-  
ბა სასიძოს გობის მსგავს ქურჭლით,  
ხელი მოაკიდებინა მას და შემდეგ  
შეუძღვა სახლში, სახლში მიყვანი-

სას ქალის მომყვანი ორი კაცი სამ-  
ჯერ შემოარონინებენ სასიძოს კე-  
რის ირგვლივ „ქორწილობის“ სიმ-  
ლერით და შემდეგ დასმენ მიჩე-  
ნილ ადგალას. ზარედ მყოფი ხალხი  
სახლში გროვდება. სასიძოს ამ  
დროს ისევე თავისუფლად უჭი-  
რავს თავი, როგორც თავის დედ-  
მამის სახლში, და არავითარი მორ-  
ცხობა სევანეთის პატარძლებმა ამ  
დროს არ იციან. პატარძალს  
იქით-აქვთ ამოუსხდებიან მისი ტოლ-  
ამხანაგი ქალიშვილები და ერთი  
„მუდლი“ (მდადე). ამავე დროს  
ოჯახის უფროსი გობით რამოდენიმე  
პურს დაუდგამს წინ პატარძალს და  
მიუყვანს ვინმე პატარა ვაჭიშვილს,  
რომელიც პატარძალმა მუხლზე უნ-  
და დაისვას, სანამ არ მოსწყინ-  
დება. ზობით პური ნიშნავს სურ-  
ვილს, რომ ახალ მოყვანილ  
რძალს ლუკმა არ გამოვლიოს (არ  
გალარბდეს); ვაჭ იშვილის მუხლზე

\* იხილეთ „დროება“ № 79.



რობს, ამის მზგავსი გამოგონება უნდა გაამტყუნოს და ისიც ოფიციალურად? ამისთანა ამბების უფუნურება კაცს პირ-და-პირ თვალ-წინ წარმოუდგება. ნულარ ვიტყვით ძველის ხალხის სრულს ერთგულებაზედ რუსეთისადმი, ერთგულებაზედ, რომელიც არა-ერთხელ დაუმტკიცებია რუსეთის მტრებთან ბრძოლაში, — ეს მოგონება ამტკიცებს სრულს უმცირებას ძველისის გეოგრაფიისას. ინგლისელები თუ მოვლენ აქ, მოვლენ შავის-ზღვით, შუთაისის გუბერნიისაში, სადაც, რასაკვირველია, ჩვენც ვეცდებით ჯარები გავამრავლოთ მტრის მოსაგერებლად. მერე რა სარგებლობას მოუტანს ინგლისელებს ძველისის მთებში ხეობების დაჭერა, რომელნიც ჩრდილოეთ-ძველისას ამიერ-ძველისიდანა ჰყოფენ და სრულად განაპირას არიან მოსალოდნელ სამარ ასპარეზიდან? ეს ალბად უნდა იცოდეს იმ ქართველმა, რომელიც შეთხზა Times-ის პარიჟელმა კორესპონდენტმა, მაგრამ ვერც ერთი კავკასიელი ვერ გამოიგონებს ამისთანა სტრატეგიულს დემონსტრაციას ინგლისელების სასარგებლოდ...

### შინაური ქრონიკა

პირველ-დაწყებითის სამეურნეო სასწავლებლის გახსნის საქმე მბილისის აკლიმატიზაციურს ბაღში გადაწყვეტილია. ამ სკოლისათვის უნდა აშენდეს ახალი შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდნ სკოლა და მოსწავლეებისა და ბაღის საქმეთა გამგებლის სადგურები. საზოგადოება ფიქრობს, იშუამდგომლოს სახემწიფო ქონებათა სამინისტროსთან, რომ ამ სკოლას 3,500 მან. ყოველ წლიურ სუბსიდი დაენიშნოს. რადგანაც ხსენებულის სასწავლებლის ამ წელში გახსნას ვეღარ მოასწრებენ, ამი-

დამით-კი ქმრის ოჯახი ჰხატავს, რომ პატარძალს ვაჟიშვილი უფრო ბევრი ეყოლოს ქმრის ხელში, ვინემ ქალიშვილი. ამის გათავებისას ხალხი — მაყარ-სტუმარნი სხდებიან თავ-თავიანთ ადგილას. მერიქიფეხები საჩქაროზედ ტაბაკებს უდგმენ სტუმრებს, სდებენ მასზე პურს, ხორცეულობას ხსნილში და სამარხოს — მარხვში, და მერე მოაყოლებენ არაყს. მკითხველი ნუ დაივიწყებს, რომ ეს ხარჯი გათენებამდე პატარძლის დედ-მამისაგან არის და, ვაი მის სირცხვილს, თუ სტუმართ რაიმე დააკლდათ ამ ღამეს. მერიქიფეხებმა ჩამოარიგეს პირველი მორიგი კათხები, ხალხმა დაილოცა, დალია, მერე-მერე, ესეც ამაირად შეისვა. მესამე მორიგ კათხაზე სასძლოს მხრით ფეხზე ადგება ერთი მაყართავანი, უმეტეს ნაწილად მახლობელი ნათესავი და უკეთესი სიტყვა — პასუხის მკოდნე და წარმოსტკვამს სამსე კათხით ხელში:

„მხიარულო კარგო ბეჟა! (მინც

ტომ პირველის წლის სუბსიდიას შენობის გამართვას მოახმარებენ.

ღვთაებთიდან გეტყობინებენ, რომ იქ საქონლის ქირს დიდი ზიანი მიუტია ხალხისათვის. სოფ. ხიზაბე-რაში, რომელშიაც 130 მოსახლეა, ზოგიერთი მოსახლე ამ სენს სრულიად უსაქონლოდ დაუდგია.

ახალციხის მაზრიდან გვწერენ, რომ აქ მოსავალს ჯერ კარგი პირი უჩანს, თუ ამინდმა არ გვიმტყუ-ნაო.

პარილის 9-ს, საღამოს, ძველისის მთავარ-მმართველი ქალაქ შუბაში მისულა. მოქალაქეების წარმომადგენელი პურ-მარილით დახვედრიან თ. ღონდუკოვ-პორსაკოვს; მეორე დღეს მთავარ-მმართველს მოუსმენია წირვა მართლ-მადიდებელთ ეკლესიაში, უნახავს სასწავლებელი და შემდეგ თათრების მიწეთში წასულა

შულაერიდან გვწერენ: „ბორჩალოს მაზრაში ამ ცოტა ხანში მოჰკლეს ერთი გავარდნილი ყაჩაღი, მუსტაფა-მოლა-ჰუსეინ-ოღლი ამ ყაჩაღს ორი წლის წინად სასამართლომ გარდაუწყვიტა კატორგაში გაგზავნა კაცის-კვლისათვის და როცა სოფელ შულაერიდან მეტეხის ციხეში გაგზავნეს, ამ ყაჩაღმა მოჰკლა გზაზე სო-ლანლულის სტანციის ახლო წამყოლი ჩაფარი და ხელმეორედ გავარდა მაგრამ გასულ მარტს პრახლოს მამასახლისს ჯანბულათოვს აცნობეს, რომ ზემოხსენებული ყაჩაღი იმალება პრახლოდან ხუთ ვერსზე ერთს დაბურულ ტყეში. ჯანბულათოვს განთიადის დროს წაუყვანია ერთი ჩაფარი და მისდგომია ყაჩაღს და უთქვამს „დამნებელი შენ თავადაო“. ყაჩაღს პასუხის მაგიერად თოფი უსროლია. ტყვიას გვერდზე გაუვლია. მაშინ ჯან-

იქნება სიძის ოჯახში უფროსი იმისი სახელი უნდა ახსენოს) ბედნიერი ქნას ღმერთმა ამაღამდელი ღამე. ღმერთმა ინებოს, რომ ამაღამის მექორწილენი (სასძლო-სასიძო) ისეთი ბედნიერნი გამოსულიყონ, რომ მათზე უბედნიერესი არ გაგონილიყოს საღამე; ამას გარდა კარგო ბეჟა, მოგახსენეს ქალის (სასძლოს) დედ-მამამ, რომ დღეიდგან ჩვენი ქალიშვილი ჩაგვიბარებია თქვენთვის: კარგი გამოდგება იგი, კარგიც თქვენთვის იქნება, — გლახა და იგიც თქვენ უნდა გყავდეთ; დღევანდელის დღეიდგან თქვენი ჩვენი ქალიშვილი; კარში გამოადგებთ მას, თანჯარაში დაგიბრუნებთ, თანჯარაში — და კარიდგან დაგიბრუნებთ. (პირ-და-პირ ესთარგმნი სენაურს ტექსტს. აზრი ისაა, რომ ქალის ქირსუფალს ძლიერა ჰსურს, რომ იგი საქმროს ოჯახში დარჩეს სიკვდილამდე და არაოდეს არ ისურვებს, რომ ვინმემ მოიტაცოს იგი). ბავებრებენ ქალის დედ-მამა და აგრეთვე ჩვენც ამაღამის მოყვანილს

ბულათოვს უსროლია და ტყვია პირ-და-პირ გულში მოუხვედრებია“.

კავკასიის ს-მეურნეო საზოგადოებას მოსვლია რამდენიმე ფეხთი თეს-ლი ჭარხლისა, რომლისაგანაც ამხადე ბენ საუკეთესო შაქარს, და ვისაც ჰსურს ამ მტკნარის გაშენება, შეუძლია სსსსეუ-ლი თესლი მიიღოს უსასყიდლოდ.

კავკასიის უმაღლესი მმართველობის შეამდგომლობით განსმდებლობის წესით გად წყვეტილია, რომ იმ შიშთ, რომელნიც იმაერ-გასპიის მსარეში გაიგზავნებან სამოქალაქო სამსახურის აღსასრუ-ლებლად, მიეცეს ვეჟა ის უფლებანი და უშირატესობანი, რაგორიც მსკდრო-ბაში მოსამსახურე შირთა აქვთ. შემოსე-ნეული უფლება და უშირატესობა მდგო-მარეობს იმაში, რომ სამოქალაქო წილ-ში მოსამსახურე შირთ, სამსკდრო შირე-ბისა დაგვრად, მიეცეს დაწესებულ-სეად ორჯერ მეტი გზის ხარჯი, და ამას გარდა ოჯახობის პატრონს — ორჯერ წლიურა ჯამაგირი და უოჯახობა-კი — წლი-სა, ამ შირობით-კი, რომ აღნიშნულ მსა-რეში გაგზავნილმა შირებმა უსათუოდ უნდა იმსახურონ ანა ნაკლებ სამის წლე-სა

### დავა შუა აზიაში

მეორე მაჰდი, მეორე ცრუ-წინასწარმეტყველი გამოჩენილია კიდე სუ-დანში. მაგრამ ინგლისის ხელმწიფების წინააღმდეგ კი არა — იმ მაჰდის წი-ნააღმდეგ, რომლის მსხვერპლი შეიქმ-ნა გენ. ბორღანი და რომელმაც შემდეგ, „შინაურობას“ გაუსვა ხე-ლი, ტაციობას, ცარცვა-გლეჯას გაჰყ-ვა. ახალია — ინგლისისათვის კი საქ-მეა მეორე ცრუ-წინასწარმეტყველის გამოჩენა. მაჰდი პირველი და მაჰდი მეორე, ორთავენი ძლიერის ჯარით, თავ-პირს ამტყვევენ ერთმანეთს; ორ-

რძალს ვაჟ-კატა უღევს და ქალ-თა მანდილს (ფაკელ); თქვენ იცით და თქვენმა ნამუსმა, რასაც ამ ჩვენს მოყვანილს გამოუტყველ რძალს უპატრონებთ.“ ამას გარდა — განაგრძობს ორატორი — დიდებულო ქვეყნის ბატონო (ფუჟნ-აბუხადიშ) ე. ი. ღმერ-თო! შენ მიანიჭე ამაღამის მოყვა-ნილს რძალს ამ ოჯახში ბედნიერე-ბა, მყუდროება, გამრავლება ვაჟი-შვილებით (ლიმგაჰ — სგაჰ — ვაჟი-შვი-ლი), ას ათასამდი გხადე — გაამრავ-ლე ამ ოჯახში ამისი ძე და მომავა-ლი. ამინ“ ხალხი „ამინს“ შეაწეეს ორატორს, უკანასკნელი კათხას ზე-ზე გამოცლის და ჩაჯდება. ახლა წა-მოდგება ვინმე სიძის ნათესავი და მაგიერს ეტყვის ქალის დედ-მამას (ან სხვა მონათესავეთ) და მაყრებს: „პარგო ბორგი! (სახელია). მოგახ-სენეს სიძის დედ-მამამ, (თუ ცოცხა-ლი ჰყავს) ისრე ქნას ღმერთმა, რომ შევიძლოთ თქვენი დაკავება ე. ი. მოყვრობა. პარგთავანი ხართ, და რა-საკვირველია, კარგი იქნება თქვენი

თავენი იმდენად ვამაგებულონ, რომ ადვილად არ დაგვტყუებთ, ინგ-ლისი-კი მოიგებს ამით. სანამ მაჰდები ერთმანეთს აკლავენ თავს — ინგლისი თვის ჯარებს სულ გამოიყენას სუ-დანადამ და საშუალო-აზიისაკენ გაგ-ზავნის.

რუსული გაზეთები ბევრს იწერე-ბიან ამ ქამად ინგლისელებისაგან ნავთ-სადგურ ჰამელტონის დაჭერა-ზედ. ჰამელტონს დიდად აფასებენ გა-ზეთები — როგორც შესანიშნავ სტრა-ტეგიულს პუნქტს. ქველაზედ ცხარედ „მოსკოვის უწყებანი“ სჯიან ამ გა-რემოებაზედ: მთელს „ავღანის საქმით“ მესადედი მნიშვნელობაც არა აქვს იმი-სი, რაც მნიშვნელობა ჰამელტონის დაჭერასა აქვს; ამისათვის ჩვენ დაუ-ყოვნებლივ უნდა მოვითხოვოთ დას-ტოვონ ეს ნავთ-სადგური ინგლისე-ლებმა, რაც შეიძლება ჩქარა და რაც უნდა დაგვიჯდეს ეს. ჩვენი გავ-ლენა ავღანზე, ყოველს შემთხვევა-ში, შესამჩნევია; მაგრამ რაკი ინგ-ლისელებს მოვაკიდებინებთ ფეხს ჰა-მილტონზე, — ამ ნავთ-საყუდლის ინგ-ლისის ხელიდან გამოგლეჯა ძნელია და მაშინ ომიც აუტდენელია. ამი-ტომაც უნდა მივიღოთ ყოველ-გვარი ზომები — თავიდან ავიცილინოთ ქვეყნი-სათვის ომის დამამხობელი შედეგი — ეს ჩვენ მოვალეობას შეადგენს და აუცილებლად საჭიროც არის.“

„St. James Gazette“-ის კო-რესპონდენტი იმ კითხვაზედ: „საიდან მოუაროთ რუსეთს?“ — ამბობს შემ-დეგ: „ის პირნი, რომელთაც რუსეთის მხარე უჭირავთ და თანაუგრძობენ მას, მოჰყოლიან რალაც ზღაპარს სპილო-სა და ვეშაპზე და სცდილობენ დამ-ტვიცონ, რომ ინგლისი ვერაფერს ზიანს ვერ მისცემს რუსეთსაო. ჩვენის აზრით; აღმოსავლეთის აზიის კიდნი, რომელნიც მშვიდ-მკვიანეს საზღვრავენ, წარმოადგენენ ისეთს ადგილებს, რომ-

ქალიშვილიც, დღეს ჩვენი ცოლი. ნეტავი ჩვენ გავხდეთ ღირსი თქვენი მოყვრობისა, თორემ თქვენის გვარიდ-გან (თემიდგან) ყოველთვის ნაქები ქალები გამოსულიან და ახლანდელი ჩვენი რძალიც იგეთი იქნება. რაც ძალი და ღონე გვექნება, ვეცდებით, ისრე შევიწახოთ ჩვენი რძალი, რომ გორც შეჰფერის კარგი თემიდგან გამოსულს ქალს; მართალია, შეიძ-ლება ჩვენსა არა ჰქონდეს ყველაფე-რი ისე უნაკლებოდ, როგორც მის მდიდარ დედ-მამის ოჯახში, მაგრამ ჩვენს თავს დავაკლებთ და ვეცდებით მაგას — რძალს არაფერი დავაკლოთ; კარით წაგვივა ჩვენი რძალი, თანჯ-რით მოვიბრუნებთ, თანჯრით და კა-რით მოვიბრუნებთ... ამას გარდა დიდებულო ღმერთო! თუ ოდესმე ჩვენსა და სასძლოს თემში ბედ-ნიერი და გამარჯვებული ყოფილი-ყოს ვინმე მეორედ ამათი (ცოლ-ქმარზე უჩვენებს) დაქორწინება გაა-ბედნიერე; გაამრავლე ას-ათასამდე, ქაჯ-ეშმაკი ააზორე, შენი ანგელოზი



მელთაც ჩვენ მალე ვივლით ხელში ამ ნაპირებზე ჯარის გადასაცემად შევიძლია ვისარგებლოთ კანადის რკინის გზით, მაშინ როდესაც რუსეთმა დიდი დრო უნდა მოანდომოს ამ ადგილებამდე ჯარის გადასაცემას. მლადივოსტოკი — ერთადერთი ნავთ-სადგური რუსებისა მშვიდის ოკეანეში — გახსნილია მთელის წლობით და ამის ხელიდან გამოცლით რუსის ხომალდებს აღარ დარჩებათ ერთი მისადგომი ადგილი. ამასთან ჩინეთი დიდს სიხალისით მოიწადინებს, ისარგებლოს შემთხვევით, რომ ოლონდ დაბრუნოს 1870 წ. დაკარგული მანქანები, და სამაგიეროდ მლადივოსტოკი ჩვენ დაგვრჩეს. და რაკი ესეთი ნავთ-სადგური გვექმნება ხელში, მაშინ სულ უბრალო ფლოტიც, გაუჭირებლად გაზაფხულის თვეებში შემოზღუდავს მხოტსკსა და პეტრეპავლოვსკს.

◆◆ ლონდონიდან სწორენ „Polit. Corr.“-ს. „რამდენიმე თათბირის შემდეგ კაბინეტისაგან მდ. ტუშკაზე მომხდარს შეტაკების თაობაზედ, მმართველობამ განმარტა, რომ ეს საქმე ერთობ რთულია და ბოდიშის-მოთხოვნა ვერ გადასწყვეტს მას; ამიტომ აუცილებლად საჭიროა სადავო ადგილი განთავსდეს უფლებული იყოს რუსის ჯარისაგან, რომ ორთავ მოდავეთაგან დანიშნულმა კომისიამ საზღვარი გაიყვანოს. ეს გადაწყვეტილება კაბინეტმა მიიღო მლადსტონისა, ბრენვილისა და ღერბის ჩაგონებით, რომელნიც მშვიდობიანობის მომხრეებად ითვლებიან. მაგრამ, ყველას აფიქრებს, რომ რუსეთი არ დასწყევს სადავო ადგილებიდან თვის ჯარებს, თუმცა ამ ადგილების მახლობლად ერთი ავღანელიც არ არის ამ ქვეყანაში. ინგლისი ვერ მოითმენს, რომ ამისი დღევანდები რუსების დღევანდებთან ერთად მუშაობდნენ ისეთს ადგილზე, რომელიც რუსების ხელთაა, რადგან ეს გარე-

მოება დიდად დასცემდა ინგლისის სახელს ავღანსა და ინდოეთში“.

◆◆ „Times“-ს სწორენ ჯერმუდი-დამ: „მირმა განაცხადა, რომ ჰერათის დასაცველად გაგზავნილია მანდარი-დამ ჯარით. მან აღიარა, რომ მარტში თავდასხმას ავღანელი საფრებზე ვერა ვითარი ბოდიში ვერ გამოისყიდისო. და თუ ომი ასტყდა, ავღანის ერთი ადგება დაუყოვნებლივ, რომ განდევნოს მტერი ავღანი-დამ. მე მაქვს განსაზღვრული და შეუდრეკელი პოლიტიკა“, — სთქვაო მირმა. მისი ხალხი უმატებს გაზეთი, გაჭყვება მის ნებას ისეთისვე ნდობით, როგორათაც ინგლისი მოეკიდა მას. იგი არავის დაუთმობს ერთს კვალს ადგილსაც თვისის სამფლობელოისას და ვერ მოითმენს, რომ ეს სამფლობელო დიდ გზად გადაიქცეს ვისმესთვის. ეს ხომ დალუპვისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის თანაბარი იქმნებოდა ავღანელი მიხედვებიან ამას და დარწმუნდებიან რომ ინგლისი მხოლოდ მათის თავისუფლებისათვის სდებს თავს.“

◆◆ ბერლინელი კორესპონდენტი „Times“-ის იწერება: „აქ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთმა მოატყუა ინგლისი და რომ მლადსტონის კაბინეთი ერთხელ კიდე დამარცხდა სამარცხენოდ. რუსები, რაკი პენჯდე დაიჭირეს მათ, ეხლა გაიძახიან: „ნეტარ არიან მფლობელონი“, და გენ. კომაროვი მაქ-მაჰონისებრ ამბობს: „მე აქ ვარ — და აქ დაგვსკიბი! აქ ერთი-ლა დარჩენია დიდი-ბრიტანიის მმართველობას, აღიაროს რომ პენჯდე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჰერათის დაცვისათვის და ერთის ინგლისელ მეომარის მსხვერპლად მოტანაც არა ღირს ამ ქალაქისათვის“.

◆◆ ლანიც მზადებაშია, რა ხედავს ომის მოლოდინს. ამგვრებს განაპი-

დაუყენე მარჯვნივ მცველად. ამინ“. იტყვის ამას, დალევს კათხას და ჩაჯდება. შევლანი გამოსულიან სამსე კათხებს. ხალხი განაგრძობს სმა-კამას, რომელსაც მოაყოლებს: სიმღერას, ცეკვას, ფერხულს და სხვა. რძალს შეუძლია ამ დალოცვის შემდეგ ადგეს და მიიღოს მომხიარულე ხალხში მონაწილეობა. ხალხმა სმა-კამაში და მხიარულებაში უნდა გაათენოს ღამე. როგორც ნათქვამია, გათენებამდე სასძლოს დედ-მამისა ხარჯი, დილიდამ საღამომდი კი საქმროს ოჯახისა. საღამოს მთვრალი ხალხი მიდის თავიანთ სახლებში.

უწინდელს დროში ჯვარის წერა — ახლაც ძვირად — ქარწილის ღამეს არაოდეს არა ხდებოდა. იყო შემთხვევა, რომ ქალი 1—3 წლამდე ჯვარ-დაუწერელად იყო საქმროს სახლში; ამ დროს განმავლობაში იგი წვებოდა ოჯახის ქალებთან და მუშაობდა იქ. ჯვარის დაწერის დავიანების მიზეზი საქმროსა-სალოლს მცირე წლოვანობა იყო. ჯვარის წერა უბრალოდ ხდებოდა.

არც მოწმები, არც სტუმრების დაბეჭევა ამ დროს საჭირო არ იყო. საქმრო მოიპატარებდა პაპს, რომელიც სახლშივე გადასწერდა ჯვარს. საქმრო-სალოლს დაუყენებდა ერთად; ორთავეს გადააცვამდა თავზე ერთიან ვეცხლის წვრილ ჯაჭვს, რომელსაც ბოლოზე ჯვარი ჰქონდა მობმული; ორივე მექორწინეთ ტანისამოსის წინა კალთებს ნემსით გადაბამდა ერთმანეთს, წაუკითხავდა წიგნში ან ზეპირად რამოდენიმე ლოცვას და ჯვარის წერა გათავებული იყო. პაპის ხარჯს აქმევდნ და წავიდოდა.

პირველი შვილი ქალს დედ-მამის სახლში უნდა მოელოგინა; თუ პირველი შვილი ვაჟი იყო, ქალის დედ-მამა ასაჩუქრებდა მას ხარით, ძროხით და სხვა. მალიშვილს-კი საჩუქრად წვრილ ოთხ-ფეხსაც აკმარებდნ. მალის მზითვეს შეადგენდა: ახალთ ახალი ტანისამოსი თავიდან ფეხებამდე, ვეცხლის საყურეები და ვეცხლისავე „ჩაფრასტარ“ გულზე ჩამოსაცობი ქალის სამკაული, ქვეშ-საგები შედ-

რე ქალაქებს და განსაკუთრებით პოპენჰაგენს. ლანიის გამაგრება უკვირთ გაზეთებს საზოგადოდ და უმეტესად-კის აკვირებთ, რომ ამ ქალაქს ამაგრებენ პრუსიის მხრითაც.

უქმად არც მსანია ატარებს დროს. მს განაპირა სახელმწიფოც ემზადება, რომ ომს მოუშვადებელი არ დაუხვდეს.

გაზეთებიდან ამოღებული ტელეგრაფები „ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ტირპულიდამ გამოგზავნილი დეპეშა გენ. ლემსდენისა შემდეგის სიტყვებით იწყება; გენ. კომაროვის მოხსენება პენჯდესთან შემთხვევის თაობაზედ სიმართლეს მოკლებულია. რუსებისაგან დაჩემება მდ. ტუშკის ნაპირებისა უკანონოა — მარცხენა ნაპირი მდინარისა მუდამ ავღანელი საკუთრებად ითვლებოდა. ხიდის მახლობლად ადგილები, რომელზედაც კომაროვი იწერება — ავღანელებმა დაიჭირესო — ჯერ კომაროვის წინ-წასვლამდე, და მარტის 17-ს შეკრულს პირობამდე, იყო დაჭერილი ავღანელებისაგან. რაც შეეხება ავღანელი წინ-წასვლას რუსების ბანაკისაკენ — გენ. ლემსდენი ამბობს: „ავღანელებს არა სწამდათ, რომ გენ. კომაროვს რაიმე ცუდი აზრი არ ჰქონოდა: განუწყვეტლივ, ყოველ დღე რუსის ჯარი სცილობდა, რომ გამოეწვია ისინი შეტაკებაზედ და ამ გარემოებამ აიძულა ავღანელები თავ-დაცვისათვის დაეჭირათ, გამაგრებინათ, საფრებით რამდენიმე ალაგი. მარტის 27 ორმა რაზმმა რუსის ჯარისამ ერთად წამოიწია; ალიხანოვი ცხენოსანის ჯარით გამოვიდა პული-მისტიდამ, და ქვევითი რაზმი-კი მარცხენა მხრით მიუახლოვდა ავღანელთ საფრებს. ალიხანოვი უკანვე დაბრუნდა, რაკი ავღანელთ ცხე-

ნოსანმა ჯარმა გადასწვინდა მტერი ქვევითი რაზმი-კი მხრითაც. მან დაბრუნდა, როცა ავღანელი ჯარის უფროსმა გააფთხილა ისინი — გესვრით თუ კიდე წამოსულხართ წინაო. გენ. კომაროვის უმთავრესმა შეტახმა აცნობა ამის შემდეგ კაპიტან იეტს, რომ ალიხანოვის წინ-წაწვევა მხოლოდ უბრალო სასიამოვნო გასეირნება იყო, მაგრამ იეტმა მიუგო ამაზედ, რომ ამ გასეირნებას მე უფრო დიდ მნიშვნელობას ვაძლეო. შემდეგ ლემსდენი განაგრძობს: „გენ. კომაროვი გვარწმუნებდა, რომ თავხედობა, თავ-გასულობა ავღანელებისა თან-და-თან მატულობდაო. მს შეიძლება ესეც იყოს და თუ-კი იყო — ბრალი რუსის ჯარებს უნდა დაედევს. მთუ მშვიდობიანობა არ დარღვეულა პენჯდეს შემთხვევამდე, ეს ავღანელი სულ-გრძელებას, მოთმინებას უნდა მიეწეროს. მრი თვის განმავლობაში მათ იწვევდნ შეტაკებისათვის. მართალია, ავღანელებმა დარაჯები გაამწკრივეს, რომელთაც რუსის ბანაკიდან ხედავდნ, მაგრამ მეორე დღესვე მარტის 29 დარაჯები აღარ იდგნენ. „იმის თაობაზედ, რომ ავღანელი ჯარის უფროსი არ მიჰყვანინგლისის აფიცრების რჩევას და არ დასტოვა მდ. ტუშკის ნაპირი, გენერალი ლემსდენი ამბობს, რომ თვით ფაქტი საფუძელიანად არ არის გადაცემულიო და დასამტკიცებლად მოჰყავს ხსენებული ჯარის უფროსის კაპ. იეტის პასუხი გენ. კომაროვისადმი. პასუხიდან სჩანს, რომ იეტმა წაიკითხა კომაროვის წერილი, მაგრამ ის, როგორც მირის ხელ-ქვევითი მოვლე იყო მხოლოდ ამის ბრძანებას მიჰყოლოდა. იეტს იმასაც იწერებოდა, რომ როგორმე მორიგებულიყვენ, შეტაკება ავღანეთთ თავიდან. მეორე წერილი კომაროვისა არც ერთს ინგლისის აფიცრს თვალთაც არ უნახავს. ბოლოს ლემსდენი უმატებს რომ როცა მარტის 30 რუსები იერიშით წავიდნ

წელს უნდა დაჰპატაროს ქალიშვილი, ქმარი და ერთ-ერთი მათი შვილი ოთხ-ჯერ: უძღების ან ყველიერის კვირას, ახალ კვირას, ამაღლებას, პეტრეპავლობას, მარიობას და მირქმას. მადა დაპატარებისა ნაჩვენებ ხანებში ოთხ-ოთხი დღეა ყოველთვის. როდესაც დედ-მამის სახლში მსხვილი ოთხ-ფეხი საქონელი დაიკვლოდა, ტყავი-დამ ქალიშვილს ეძლევა საქალამნე. დასასრულ ღირსია შენიშვნისა ის გარემოებაც, რომ გათხოვილი ქალი დედ-მამის ოჯახში თითქმის ისეთივე უფლებით სარგებლობდა, როგორც ერთ-ერთი ოჯახის წევრთაგანი. მაგალითად გათხოვილს ქალს თუ სტუმარი მოუვიდა, და ქმრის სახლში არა აქვს წვრილი საკლავი, აგრეთვე არა-ყი და ეგენი დედ-მამის სახლში ეგულება, მიდის და ისე მოაქვს, როგორც თავის საკუთრება, დედ-მამა ამას ძვირად ვისმეს დაუშლის.

თავისუფალი სკანია.

